27 აპრილი 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშალური

№ 41 ყოველკვირეული ჟურნალი № 41

გაზაფხული (მაისობა) — ზეტანის ნახატი.

როდემდის?!

—

საკვირველია, მეტი რომ არა ვსთქვათ, ქართველ ესდეკების, მათი ლიდერების და მათსავე ორგანოს თანამშრომლების ქადმორეული თავისმართლება, ვითომ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მათის წყალობით ჩვენ ქვეყანაში არავითარი უსამართლობა არ მომხდარიყოს. საკვირველია ეს მით უმეტეს ისეთი ადამიანებისგან, რომელნიც თავიანთ თავს ხალხის მესვეურად, მისი ჭირვარამის ერთად ერთ მესაიდუმლეთ და გულშემატკივრად სახავენ. ნუ თუ დღეს მათთვის ცხადზე უცხადესი არ უნდა იყოს, რომ „ნიშადურში“ აღნიშნული ფაქტები მხოლოდ მკრთალად გადმოგვცემს იმ კალმით აუწერელ და ენით გამოუთქმელ საშინელ საზიზღრობის სულ მცირედ ნაწილს, რასაც ადგილი ჰქონდა იმ დროს.

ვინც მოძრაობას თვალყურს ადევნებდა და ცოტათ თუ ბევრად დამოკიდებულება ჰქონდა ამ მოძრაობასთან, იმას ეს ფაქტები ახალს მაინც და მაინც არაფერს ეუბნება. და თქვენ თუ იმ დროს მარსზე ბრძანდებოდით და ახლა მოგვევლინეთ, გირჩევთ კეთილ ინებოთ და შემოიაროთ ჩვენი გავერანებული სამშობლოს კუთხეები, გამოკითხოთ ადგილობრივ მკვიდრთ და მაშინ დარწმუნდებით, თუ როგორ ავიწროვებდნენ ხალხს თქვენი აგიტატორ-პროპაგანდისტები. ხოლო თუ მართლა გულწრფელად გინდათ გაეცნოთ საქმის ვითარებას, მაშინ ყველას და განსაკუთრებით კეთილსინდისიერ და სიმართლის მოყვარე პირებს მიმართეთ და ერიდეთ შეცდომაში არ შეგიყვანონ თქვენმა აგიტატორ-პროპაგანდისტებმა, პარტიის წევრებმა და მათმა ფეხის ამყოლებმა.

მაგრამ ვეჭვობ ყოველივე ეს თქვენთვის საიდუმლოებით იყოს მოცული და იმის მაგივრად, რომ ადამიანურად გამოტყდეთ თქვენს შეცდომებში და ჩადენილი დანაშაულობა და უკუღმართობა აღიაროთ, გადმომდგარხართ და უშვერის პირით ილანძღებით, აქაოდა ჩვენი შეცდომების გამომზეურობა როგორ გაბედეთო, ჩვენ უბიწონი და უცოდველნი ვიყავით, ვართ და ვიქნებითო! ბატონებო, რატომ ერთხელ მაინც არ დაფიქრდით და რად გავიწყდებათ, რომ შეცდომები ყოველი საქმიანობის თანდაყოლილი სენია და არ შეცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს, თუმცაღა შეცდომებიცაა და შეცდომებიც.

არა მგონია თქვენ პირველად გესმოდეთ სრულიად უდანაშაულო საბრალო მიხაკო სანოძის მოკვლა დ. ხონში. გამოკითხეთ თქვენს „აფხანიკებს“ და ისინი გიამბობენ რა ნიადაგზედ და ვინ მოკლა ეს ადამიანი. სწორედ ამ გვარადვე თქვენმა პროპაგანდისტმა და რაზმელებმა იმსხვერპლეს ს. ბანძის (სამეგრელო) მცხოვრები ზურაბ ფადავა. სამეგრელოს ერთ სოფელში სახელდობრ სოფელ ქვ. მასწავლებელ ა. ა—სთან ღამით მიიჭრნენ შეიარაღებული „შეგნებული“ ქარხნის მუშა რაზმელები და სოფლელს დაემუქრნენ (ცოტა აცდა, კინაღამ მოჰკლეს) მხოლოდ იმისთვის, რომ სოციალისტ-ფედერალისტების მოძღვრებას ავრცელებდა ხალხში.

მე თვითონ ამ სტრიქონების დამწერს სოფ. თ. მომივარდა ასისთავი და სასტიკად ამიკრძალა ხალხში ,,ეს ფერების‘‘ ფურცლების გავრცელება. სოფელ კ. რაიონული კრება ჰქონდა სოფლების წარმომადგენლებს. ამბავი მოუტანეს გზაზედ ეს-ფერების რაზმელებს ზუგდიდიდან თოფები მიაქვთო. მაშინვე დაფაცურდნენ: არიქა, ვუშველოთ, წავართვათო, ხოლო ეს განზრახვა სისრულეში არ მოუყვანიათ. მაგრამ ამის გახსენება რა საჭიროა, როდესაც ჩვენში ყველამ კარგად იცის რა ალიაქოთი ასტეხეს თქვენმა ,,აფხანაკებმა‘‘ ფოთსა და ზუგდიდში თოფების თაობაზედ, რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ ამ თოფების უმრავლესობა მთავრობას ჩაუვარდა ხელში.

ჰკითხეთ ფოთისა და ქვალონის პატიოსან მუშებს და გეტყვიან ვინ იყო ის ვაჟბატონი, რომელიც რკინის გზაზედ ერთი-ორად და სამად ახდევინებდა ბილეთების ფასს ფოთსა და სამტრედიას შუა და ხშირად ,,სხვა პარტიის‘‘ კაცს კიწვის კვრით გარედ აგდებდა. ესენი გეტყვიან აგრეთვე, რომ ამ სინიდის გარეცხილ დესპოტის უსაზღვრო თავგასულობით აღელვებულნი ბოლოს და ბოლოს ,,ზომების‘‘ მიღებასაც აპირებდენ მის წინააღმდეგ, მაგრამ აღარ დასცალდათ.

ნეტავი სად წავიდა ბილეთებში აღებული დიდძალი ფული?! სწორედ ამ გვარ საშუალებებით ,,კრებილი‘‘ ,,აძრობილი‘‘ ფულები თუ გალაპარაკებდათ რომ ,,ექვსი ათასი მანეთი და ასეთი წვრილმანები რა ფულიაო და მხოლოდ თქვენ ფედერალისტებს მიგაჩნიათ დიდ რამეთო. (იხილე გაზ. ,,აზრი‘‘-ს № 20 ჩვენ და წ. კ. გ. ს.).

ვისი რჩევითა და ხრიკებით იყო, ერთხელ ოკ. და მეორედ მიხაკო არალაპარაკეს ხონში.

ნუ დაიზარებთ გაიგოთ ვინ მეთაურობდა იმ კრებას ნაოღალევში, რომელმაც მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელს ჯერ დროშა არ გააშლევინა, მერე ლაპარაკის ნება დართო, მაგრამ მალე მძლავრი და გავლენიანი სიტყვების შეეშინდა, ეცნენ სტოლს და კინაღამ დაამტვრიეს, ერთი ამბავი დააწიეს და კრებაც დაშალეს.

მაგრამ ამგვარი შემთხვევები ისეთი ხშირი მოვლენანი იყო, რომ უთუოდ თქვენც გაგეგონებათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, გასაკიცხად არ მიგაჩნდათ.

ისიც, რასაკვირველია, გეცოდინებათ თუ რა საშუალებებს ხმარობდენ თქვენი ,,აფხანიკები‘‘ მოწინააღმდეგე პარტიის ხალხში სახელის გასატეხათ... არ ერიდებოდნენ არავითარ ცილისწამებას და ახალ-ახალ საგინებელ სიტყვებს სთხზავდენ მათი დასამცირებლად.

ერთმა საშუალო სასწავლებელ დამთავრებულმა პროპაგანდისტმა ს.-დები იესო ქრისტეს შეადარა და ფედერალისტები—ანტიქრისტეს.

მოწინააღმდეგების შეუწყნარებელის დევნით, უსაფუძვლო ცილის-წამებით და ლანძღვა-გინებით შეუდექით სოფლად და ქალაქად თქვენს მოღვაწეობას და თქვენ კი ნამდვილი ცოცხალი ფაქტების აღნუსხვაც კი გაჯავრებთ, და მოწინააღმდეგეთ შავრაზმელის სახელით ნათლავთ. ბუშმენური ლოგიკაც სწორედ ეს არის. დასასრულ კიდევ ერთი ფაქტი, დ. ხ. ერთ საუკეთესო სოციალ-დემოკრატს მოძრაობის პირველ ხანებში ჰყავდა რამდენიმე თავზედ ხელ აღებული რაზმელი (უფრო სწორია — ყაჩაღები), რომელნიც აქლო-მახლო მცხოვრებთ ,,კრეჭავდენ'' ,,პარსავდნენ'' და ,,აძრობდნენ''... რა თქმა უნდა, ამ პარსვა-კრეჭამ ხალხი გაამწარა. სწორედ ასეთმა თქვენმა უგვანო საქციელმა გამოიწვია ხალხში მძლავრი რეაქცია, თორემ, გარწმუნებთ, თავისუფლების ცხოველმყოფელი იდეას ახლა წინანდელზე უფრო ღრმად აქვს გადგმული ფესვები ქართველ ხალხის გულში.

როდემდის უნდა იცრუოთ, ბატონებო? როდემდის უნდა იღლიტებოდეთ.

ფაქტების გადლეტა შეუძლებელია.

ყველა ზემო აღნიშნულ ფაქტებს მოწმებით დავამტკიცებთ.

სოფლის მასწავლებელი (იმერეთი).

ადამიანი

—◆—

ზღვა ბობოქრობდა, ტალღები
ვით მთები მთებზე სხდებოდა
ფაფარსა სცემდა ცის სივრცეს —
ძირს დედამიწა სქდებოდა.
იტყოდი მეორ-მოსვლაა
ტალღა რომ ტალღას ჰხვდებოდა.
ვინ გააჯავრა, არ ვიცი,
არ ვიცი რაზე სწყრებოდა.
ვნახე რომ ქალი ზღვის პირად
იდგა, თმა-გაშლით ჰკიოდა;
თვალ-პირი ცრემლში უცურავს,
ალბათ რომ გული სტკიოდა.
,,მიშველეთ, თქვენი ჭირიმე,
მიშველეთ ვინ ხარ კაცია?!
ჩემი პირიმშო აკვნითურთ
წყეულს ზღვას გაუტაცია!''
გავხედე, ვნახე აკვანი
ზვირთების ქედზე, კიდურა,
ხელ გაფარჩხული შიგ ყრმა სჩანს,
ჩვილს პირი მოემწითურა.
იმას ეგონა არწებდენ
დედა უმღერდა ნანასა,
არავის თხოვდა შველასა,
არც ზღვიდან გამოყვანასა.
როდი ხედავდა, ან გრძნობდა,
რომ ჯოჯოხეთის მხარესა
ზღვა არ დაინდობს მარგალიტს
და უფსკრულს მიაბარებსა. —
თევზებს შეაჭმევს პატარას,
ვეშაპი შთანთქავს აკვანსა —
ყორანი ჯიჯგნას დაუწყებს
დედის გულს ცრემლით ნაბანსა, —
სიკვდილის ენა იუბნებს
ამ გულის მომწყვლელს ამბავსა.
რას ულდის დედა, შვილისა
სიკვდილის ყბაში მნახველი?
იმედობს ალბათ: ახსენა
ქალმა ღვთისმშობლის სახელი,
აღუთქვა ერთი კურეტი, —
თორმეტი წყვილი სანთელი
რა ხედავს შვილსა უვნებლად
ფიქრობს — ექნება საშველი.
მაგრამ ვინც სწორედ ხედავდა
მიზეზს და იმის შედეგსა.
მოკყვასს რომ არ არ შესწეოდა
არ აღამებდა ერთ დღესა.
მხოლოდ მან იგრძნო ბავშვისა
ან დედის ბოლო რა იყო.
გადაიწერა პირჯვარი
თავზე მყის ხელი აიღო.
ბრიყვმა, წინდაუხედავმა
ზღვაში ჩქაფანი გაიღო
შეათამაშეს ზვირთებმა,
როგორც ბუმბული, წაიღო,
ვაჟკაცი მსგავსი ლომისა
მეტათ თავ-ხედი ქცევითა.
რად მიდის? ვისთვის თავს იკლავს?
მხოლოდ გრძნობათა რჩევითა?!
მოკვდეს არ დასდევს, ოღონდაც
დაიხსნას გაჭირვებული
მიტომ გადასდო მან თავი
ბავშვის ხსნად შეჭირვებული.

—

გამოიცვალა სურათი,
ტანით ტყავ-ჩოხა გაიძრო
ზღვამ და იმისი გულ-მკერდი
ნაზ მყუდროებამ შეიპყრო.
ვაჟკაცის გაბედულობამ
ზღვის მძვინვარება დაიპყრო
გზა მისცა ვაჟკაცს სავალი
ტალღები შედგა მყეფარი
მოგდა ამბავი საზღაპრო,
საქმე რამ გაუგებარი.
თვალი მიეპყრო მთელს ზღვასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟკაცისათვის მგზნებარი.
მოსწონდათ მისი მხნეობა
და ზღვასთან ბრძოლა მედგარი.
მიუახლოვდა აკვანსა
ბავშს დააცქერდა სახეში,
ბალღმა დაიწყო ტირილი,
ცრემლი დახეთქა თვალებში
როდესაც მკლავი მეშვლისა
გადაეღობა მკლავებში.
იტიროს ბალღმა რა იცის
ვინ არის მისი მაშველი?
კაცად ვის დაუნახია
ბნელეთში მადლის მთესველი
გამოიტაცა აკვანი,
ნაპირს მოადგა ზღვისასა,
დედას გადასცა შვილითურთ
პირი უგვანდა მზისასა
თვალები სანთლათ აენთო
გულ-მკერდი მაღლის მთისასა.
მადლის ქმნას გაეთასა
მეშველის უსწორო არსება.
საამურია თვალთათვის
ახლისა მთვარის გავსება
და საზიანო საქმისა
ქველის მარჯვენით დავსება.
ლომისა — ყოფა-ქცევისა ანგელოზისა მსგავსება
დედა უკოცნის ხელ-ფეხსა
დაჰვიწყებოდა შვილია
სიცოცხლის მომნიჭებელსა
სიტყვები უთხრა ტკბილია
ლოცვა სულ ლოცვა, უსამზღვრო.
ბზესავით გადაშლილია.
აღარ ეშვება მეშველსა.
მისი თითები თლილია.
,,ნეტავ რით გადავიხადო
შენი ამაგი დიდია!''
იძახის დედა. ვაჟკაცმა
ერთი სიტყვა სთქვა მშვიდია:
—მე არაფერი არ მინდა,
არაფრისაგან შენია
მხოლოდ ჩემ პატივსაცემლად
გახსოვდეს სიტყვა ჩემია.
ბავშს ვერას ვეტყვი: ჩვილია,
სასირცხოც არა სცხვენია;
გაზარდე სულით მაღალი,
ბუნება გაუმშვენია;
ისიც უამბე კარგადა
ზღვიდან ვის გადურჩენია.
ასწავლე მოყვასის შველა
როს სჭირდეს რამე სენია;
რჩევა მოყვასთა საშველად
ხშირ ხშირად მიუძღვენია;
კეთილის ჩასაგონებლად
შენამც ნუ მოგიწყენია.
მხოლოდ ამით მცემ პატივსა,
ჩემთვის ეს დიდი ძღვენია.
სთქვა და მშობლისა თვალთაგან
გაქრა ვით დღისით ვარსკვლავი
ერთ-ურთის შესაქცევრადა
ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ამბ ვი
მიდის და ვეღარ აბრუნებს
ძახილი გულის საკლავი.

ვაჟა-ფშაველა,

აკაკის წერილი

ბატონო რედაქტორო!

ამ ოცდაათი წლის წინეთ მე და განსვენებული მამია გურიელი ერთ დროს მოვხდით აბას თუმანში. ერთმანეთს ხშირად ვხედავდით და საუბარიც უმეტესად პოეზიაზე გვქონდა ხოლმე. ერთხელ მომიტანა გადათარგმნილი პუშკინის „ეგვიპტური საღამოები''. ნათარგმნი მშვენიერად იყო, მაგრამ, მე თვითონ საგანი არ მოუწონე და შეგვექნა შემდეგი ბაასი: მაშ არ მოგწონს ეს, ეს პოეზიით სავსე თხზულება გენიოსის? - მკითხა გაოცებით. — არა! —მიუგე მე. — რაც უფრო მეტი ნიჭიერია, მით უფრო ვეწინააღმდეგები მწერალს, მიგვარ რამეებში. მწერალი მთელი ხალხის მოძღვარია. მის ნაწერებს ყოველთვის პედაგოგიური მნიშვნელობა უნდა ქონდეს და არა გრძნობა-გონების წარმტაცი უნაყოფო ოხუნჯობა!

— როგორ? შენ გინდა, რომ სიცოხლით სავსე პოეტებს გრძნობა გონება მოუკლა და აღარც კი ახუმრო? საოხუნჯო არა ათქვევინო რა?!

— ის ოხუნჯობა სადაც უწმინდური სიტყვებია ნახმარი და საგანიც სიტყვების შესაფერია, სწორედ, არ მომწონს, გინდა გენიოსის ნაწერიც იყოს. აზროვანი დაწერა კი, როცა არც სიტყვებია უწმინდური და საგანიც პირდაპირად არის გამოთქმული, კი შეიძლება, ეს უთხარი და დასამტკიცებლათ ჩემს აზრისა მეორე დღესვე წარვუდგინე ლექსი: ,,მეჩანგურე''. დიდი ხანი არის, რაც ის ლექსი ვიპოვე ჩემს ძველ ქაღალდებში და გამოგიგზანეთ და კიდეც დაიბეჭდა „ნიშადურში''. ახლა, როგორც ვხედავ და თქვენგანაც მესმის, მაგ ლექს კბილი მოუკვეთია ბევრისათვის და საწყენათ მიუღიათ, როგორც უჯერო რამ!.. ბრბო ყველ-

გან ბრბოა და იმაზე არა ითქმის რა, მაგრამ თქვენ კი მაკვირებთ, ბატონო რედაქტორო, რომ, თით-ქმის, ეთანხმებით მას და, ამიტომაც ახლა თქვენ-თან მსურს საუბარი. მისთანა მწერალი არ გამო-ჩენილა რომელიმე ხალხში, რომ საოხუნჯო რამაც არ დაეწეროს. ინგლისის ხალხი ძალიან ფაქიზი და პირდაცულია. იმას ყავს ერთი პოეტი, რომელსაც მხოლოდ პოეტობის გულისათვის დედოფალმა ვი-ქტორიამ ლორდობა მიანიჭა. გადაიკითხეთ ის პოე-ტი ტენისონი, დი ნახეთ თუ მის თხუზულებაში საოხუნჯოც რამ არ ურევია, მაგრამ არავინ იმას არც ზნეობით სიქვეითეს ეწამება და არც სიბე-რით გამოჩურჩუტებას. გეტეს, მსოფლიო პოეტს აწერილი ჰყავს „ახალგაზდა ტყეში“, სადაც ოხუნ-ჯობა გადაჭარბებულია, მაგრამ არავის გაუკიცხავს. აგრევე ჰეინე, ბერანჟე და ათასი სხვები, მაგრამ რა და შორს მივდივართ, ავიღოთ ქართველობა: მეთორმეტე საუკუნეში, თამარის დროს, გენიოსმა რუსთველმა თავის „ვეფხის ტყაოსანში“ გამოურია ისეთი ტაეპი, რომელიც იწყება: იმ ერთსა მიჯნუ-რობასა და სხვ. მეთვრამეტე საუკუნეში დავით გურამიშვილმა დასწერა „ქაცვია მწყემსი“ სადაც სიტყვებიც კი უწმაწურია! მეფე ერეკლემ რომ რძალი მიიყვანა, ქათალიკოსი ხუმრობით შეეკითხა ძმას: „წუხელი როგორ გაატარე დროვო?“ და პასუხად მიიღო შემდეგი ლექსი:

„აღმართა ბროლისა სვეტნი, ვარდმა რა ნახა
იმან,
უბრჭკვნილი ვარდის კონამან მიზიდვით მიისაამან;
სამთვე ერთათ იდინეს ლალმან, ბროლმან და იმან
და იტვირთა ცრემლი ობოლი სამოთხის კარმა
ღიამან“.

ეს ლექსი დაბეჭდილია პროფესორ დავით ჩუბინოვისაგან. ახლა უნდა მოვიკითხო იმ ჩემს ლექსში „მეჩანგურეში“ რა ნახეთ ამ გვარი? აბა თუ სადმე ერთი უკადრისი და უწმაწური სიტყვა არის? ნუ თუ პირდაპირ არ არის იქ გამოთქმული პირდაპირ მეჩანგურის შესახები აზრი? კი მაგ-რამ ორ აზროვანიაო იტყვით? დიდება შენს სა-ხელს ღმერთო!.. აქამდი ერთი აზრის გაგებაც უჭირდათ და ახლა ერთი ორად გამოყავთ? ოცნე-ბას მიტომ ქვია ოცნება, რომ თუ ფიქრს გაჰყვა კაცი, ერთი საგანი ოცნაირაირად მოეჩვენება. თუ წარმოიდგენ, ცაზე პატარა ღრუბლის ნაგლეჯი გველეშაპადაც მოგეჩვენება, მხეთ უნახავადაც, ცი-ხე დარბაზადაც და სხვანი...

მკითხველმა ისე უნდა მიიღოს ნაწერი: რო-გორც და რა აზრიდაც ავტორი სწერს და თავისი ორაზროვნობა და ოცნება განზე უნდა გადადვას.

მართლა, რომ უწმინდურიც რამე დამეწეროს, მიკვირს რათ გაუკვირდა დღევანდელ ქართველს? წმინდა მოძრაობის სახელით, დღეს ჩვენში ყოველ-გვარ საძაგლობას ჩადიან: ქურდობას, ავაზაკობას, კაცის კვლას, პატივ-ნამუსის საჯაროდ ახდას და სხვანი, და ამაზე არა თუ ხმას არ იღებენ, პირიქით ქების ტაშსაც უკვრენ და ისინივე ჩემს ლექსს, აქაო და ორაზროვანიაო გაუცხარებია?!. აქ რაღაც სხვა არის და მეც მათდამი მეტი არა მეთქმის რა:

ვაი ბაბუას!

აკაკი.

ა ღ დ გ ო მ ა.

—

ადსდგა მკვდრეთით! ძირს დაამხო
და დასთრგუნა ბნელი ძალი;
დაკარგულის გზა გვიჩვენა,
განაცხოვლა სამართალი.
მშიერ-მწყურვალი, უძლური,
ღონეს იკრებს და მხნევდება;
გვაძლევს საზრდოს სულიერსა
მისი წმიდა ქადაგება.
ხორციელი გვავიწყდება,
ვეღარ ვგრძნობთ მის უქონლობას;
პირველს ადგილს აღარ უთმობთ
„საზრდოულსა არსებობას“.
კვლავ იმედი ჩაგვესახა,
გვაამოვნებს გულის ძგერა.
ხსნას და შველას უკვე ვხედავთ,
მომავლისა ახლა გვჯერა!
გვწამს, რომ ისევ უკვდავია
სიტყვა წმიდა და დიადი!...
წინამორბედ-მახარობლად
სხივსა გვტყორცნის განდიადი...

დემნა შროველი.

შ ი ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა ნ ი

III

არაფერს ეტყვით ბ. ივ. გომართელს?

შემდეგი მოქმედებისთვის სამაგიერო მიეზღვის ადამიანს ამ ქვეყნად, უმთავრესი დასჯა კი გადა-იდება მომავალ განკითხვის დღისათვის: სისხლის ღვრისათვის, სისხლის შერევისათვის (გარყვნილე-ბისათვის) და ცილისწამებისათვის; უკანასკნელი მარტო ერთი უდრის ყველა დანარჩენს.

თალმუდი.

ორ შემთხვევაში ადამიანი სასტად რჩება და არ იცის, როგორ გამოსთქვას თავისი აზრი, თავისი გრძ-ნობა: უდიდესსა და უმდაბლეს მოქმედების წინაშე სდუმს ენა; გონება ჩლუნგდება...

საჭიროა დრო, რომ გარკვეული აზრი ნათლად გამოსთქვათ.

აბა, მიბძანეთ, რა სიტყვით უნდა გამოგესთქვათ წაკითხვისთანვე ის გულის წყრომა, სირცხვილი და აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ყოველ პატიოსან მკითხველში ბ. ივ. გომართლის ცილის წამებამ: ბ. სილოვანი ჯაშუშიაო.

ასეთის მოსაზრებით ვხსნიდი, რომ დღემდის მხოლოდ ერთმა ჟურნალმა გასცა პასუხი ბ. გომართელს და დანარჩენ ჟურნალ გაზეთებს კი არ დაუფასებიათ მწერლობისთვის სამარცხვინო მოვლენა.

მაგრამ მე, თურმე, ვცდებოდი.

ყოფილა ისეთი თვალთა ხედვის ისარიც, რომელიც გვაიძულებს გვერდი აუხვიოთ საზიზღრობის დაგმობასა და ადამიანის შებღალული პიროვნების აღდგენას.

ერთმა გაზეთმა ბ. სილოვანს საპასუხო წერილიც კი არ დაუბეჭდა იმ მოსაზრებით, რომ კმარა, რაც ამ საგნის შესახებ ჟურნალმა „შრომამ“ სთქვა და არც ღირს ჩვენს დროში, როცა ყველა ილანძღება, იგინება, ერთი სიტყვისთვის აურზაურის ატეხაო. არ ვიცი ასეთი აზრი უიმედობის შედეგია. თუ უგრძნობლობისა... ხოლო სივაგლახე კი მარტივი და აშკარაა.

ამდენს ხანს ყოველგვარი შელახვა და შეგინება ადამიანის თუ უყურადღებოთ რჩებოდა, განა ფიცი დავსდევით რომ შემდეგშიაც ხმა არ ამოვიღოთ ხოლმე? თუ სხვა საგნებზე ამოვიღეთ ხმა, განა მწერლობის სიწმინდე-სისპეტაკე უპირველესი და უსაყვარელესი საგანი არ არის მწერლობისთვის? გთხოვთ გაარჩიოთ და განსაზღვროთ მკვახე სიტყვა, მოურიდებლობა და თუნდაც უდიერობა ლანძღვისა და განსაკუთრებით კი ჭორისა და ცილისწამებისაგან: ხშირად მკვახე სიტყვა ადამიანს გინებათ ეჩვენება, მაგრამ ნამდვილად კი იგი უბრალო კვალიფიკაციაა. როცა გაცხარებულ კამათში ერთი მწერალი მეორეს „სისულელის გენიოსს“ უძახის, დიახ ვერაფერი ზრდილობაა, მაგრამ მწერალს ვერ მოვსთხოვთ «რევერანსებით» თავი მოგვაწონოს, როცა გრძნობა-გონება აღელვებულია მოწინააღმდეგის სიბადრუკით, თუმცა ამ უზრდელობასაც აღნუსხვა, აღნიშვნა და მხილება უნდა.

სულ სხვაა, როცა მწერალი თავის თავს ნებას აძლევს და ჰბედავს ვისმე შესწამოს ან მიაწეროს ის, რაც თვითონვე არ უნდა სწამდეს; ამ შემთხვევაში საერთო, მეტგარი იერიშია საჭირო თვით მწერლობისგანაც, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს საშუალება ასეთის მოქმედების ხელმეორედ განმეორებისა.

„ეშმაკის მათრახში“ იბეჭდება ბ. ივ. გომართლის „ეფისკოპოსის სიზმარი“. ჩვენთვის საგულისხმიერო სცენა გვიხატავს მრუშ, მექრთამე, გულქვა ეპისკოპოზს, რომელთანაც, სხვათა შორის, მოდიან თავად-აზნაურობის წინამძღოლი და სემინარიის მასწავლებელი სილოვანი; ეს ორნი ეპისკოპოზის დახმარებას [illegible] სოც.-დემოკრატიას აღმოსაფხვრელად სამშობლოს საკეთილ-დღეოდ. ეფისკოპოზიც თანახმაა, მაგრამ არ იცის, თუ როგორ დაეხმაროს. სილოვანი მოახსენებს: ორი ს.-დემ. მასწავლებელი აღმოვაჩინე და თქვენ უნდა დაგვეხმაროთ მათს დათხოვნაშიო. თავად-აზნაურობის წინამძღოლი დურმიშხანი დაუმატებს, რაც შეეხება მათს ჩვენი ქალაქიდან გაძევებას ეს ჩვენ უკვე გამოჩარჩხული გვაქს—ერთს ჩაუფუჩუნებ, ვისაც ჯერ არს და მასწავლებლებს ვეღარ დაინახავენო. სამივე სიამოვნებით იცინიან. სილოვანი კიდევაც იქადის—შემდეგში კიდევ მეტ სოც. დემ. გამოვნახავო.

რა არის ეს, ბატონებო? შეცდომა, შემთხვევით სახელის ხმარება, უდიერად მოხსენება მოწინააღმდეგისა? სრულიადაც არა! ეს გახლავთ წინადვე გამიზნულ-დაგეგმილი ცილისწამება, რათა მოწინააღმდეგის პიროვნების შებღალვით შეაწუხო, დააშინო, საზოგადოებაში თითით საჩვენებელი გახადო არა მარტო მოწინააღმდეგე, არამედ ცოლი, შვილი...

სახელი სილოვანი იმდენათ იშვიათია ჩვენში, მასწავლებელთა შორის ს.-დემ. მოწინააღმდეგე სილოვანი კი ერთად ერთია და თანაც რედაქციას შენიშვნა („ვინ ვერ იცნობს სილოვანის „ფიქრებსო“) ნათელ ყოფენ, რომ სწორედ ჩვენს მწერლობაში ცნობილი სილოვანია საზიზღარ ჯაშუშად გამოყვანილი.

ასეთი ჯილდო გამოვიგონეთ ჩვენი მოღვაწეებისათვის—მცირისა და უდიდესისათვის: ოცდახუთი, ორმოცდაათი წლის შემდეგ ან ტყვია და ან უსაზიზღრესი ცილისწამება, ხან-და-ხან კი ორივე ერთად ჰარმონიულად შეერთებული!

ფუ, ისეთს საზოგადოებას, ფუ ისეთს მწერლობას, რომელსაც შეუძლიან ყველაფერი ითმინოს! ჭეშმარიტია იტალიური ანდაზა „ვირის სიკეთე მოთმინებააო“.

თუმცა ჩვენში ყველა იმედ გაცრუებულია და სასოწარკვეთილიც, რომ რაიმე საქმეს ჯეროვნად დაბოლოვება შეიძლებოდეს, მე მაინც მივმართავ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება კი აქვს ამ მოვლენასთან.

რას იტყვიან ბბ. ნიკოლაიშვილი და რობაქიძე. რომელნიც თითქოს სილოვანის ჯაშუშობით იყვნენ დასჯილნი? ნუ თუ ნებას მისცემენ ისინი ვისმე, თუნდაც მახლობელ მეგობარს, მათი მდგომარეობით შეურაცხყონ ჯერ მწერლობა და მერე პატიოსანი (ყოველ შემთხვევაში ასეთს მოქმედებაში უდანაშაულო) მოწინააღმდეგე?

რას იტყვის ჩვენი მწერლობა?

მისცემს ნებას ქართული მწერლობა ყოველ ავ

სულსა და ავეიას ითარეშოს მის ფურცლებზე? პატივცემულნო მწერალნო, გვერდს დაუმშვენებთ ყველა ცილის მწამებლებთ და პირადობის მოციქულებთ?! განსაკუთრებით ვთხოვ, როგორც მოზარდ თაობის ორგანოებს, მიუდგომლებს და უპარტიოთ — „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ რედაქციებს და მათ თანამშრომელთ გაგვაგებინონ თავიანთი აზრი.

და შენც მუდამ დაჩაგრულო, აბუჩად აგდებულო ქართველო მკითხველო, გამოიჩინე იმდენ ზნეობრივ ძალას, რომ შესძახო: „შენ ჩემი გათახსირება გინდა! მე ვდუმდი, როცა მიკეტდენ გაზეთებს, ვდუმდი, როცა საუკეთესო მწერლებს ბაგეზე კლიტეებს ადებდნენ, მაგრამ ვიცოდი, რომ მტერი მტრულად მექცეოდა... შენ კი, ვითომ მეგობრობით მხიბლავ და ცხოვრებას კი მიწამლავ ავზნეობით... მწერლობის მაგალითი აკანონებს ცხოვრების წუმპეს... მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ხვალ ბ. გომართელი შუა ქუჩაში ცათა არ აღაპყრობს ხელებს და არ დაიძახებს ჩემზე — გამქურდაო. მერე როგორ ჩამოუაროს ყველა მსმენელს და როგორ დაუმტკიცოს ყველას, რომ ბ. გომართელი არა თუ არ გამიქურდავს, პირიქით ბევრი რამ კიდევაც მივეცი: პატივისცემა, სიყვარული, სახელი, ფუფუნება და იმან კი ყველა ეს ჩემდა გასარყვნელად და გასაფუჭებლად მოიხმარა.

დროა ბოლო მოეღოს მწერლობის ასე აბუჩად აგდებას და მკითხველთა გარყვნას.

მწერლობა, როგორც განმანათლებელი და განმასპეტაკებელი იარაღი, უნდა იკვებებოდეს წმინდა წყაროთი და არა პირადი წუმპე-ჭაობით.

მწერლობა უფლების მინიჭების გარდა უმთავრესად მოვალეობასაც აკისრებს მწერალს და სწორედ ეგ მოვალეობა მოითხოვს, რომ თარეშ-იერიშით, უდიერობით და წარამარად არა იწერებოდეს — რა, თუ კი მართლა გვწამს და გვჯერა მწერლობის დიდი მნიშვნელობა და უმაღლესი დანიშნულება.

ადვილი წარმოსადგენია რა მოლიპულ გზაზე ვსდგევართ და რა წუმპე-ჭაობისაკენ მივექანებით, თუ კი ბ. ივ. გომართელიც არ თაკილობს ცილის წამებას და გრძნობა-გონება გახრწნილი აუდიტორია გულის წყრომისა და აღშფოთების მაგიერ სიცილ-ხარხარით ტაშს უკრავს ..

ნ. ლორთქიფანიძე.

ყაზიმირ ტეტმაიერიდან.

აჩრდილი.

აჩრდილი ყველგან, ყოველთვის, დღისით თუ ღამით, განუშორებლივ თანა სდევს ადამიანს.

ხშირად ჩვენი სახლის წინ ამოსულ ხეებს ვერ ვამჩნევთ; ხშირად, როდესაც უფრო ღრმა აზროვნება იპყრობს ჩვენს გონებას, ქუჩაზე მიმავალ მგზავრს ვერა ვხედავთ; აგრეთვე, შესცქერის ადამიანი აჩრდილს და ვერა ხედავს.

ეს აჩრდილი ადამიანთან განუყრელია, არა სცილდება არც იმ წუთს, როდესაც, ჯერ ისევ ჩვილი ყრმა დედის მკერდს ეკვრის; არა სცილდება არც იმ წუთს, როდესაც მინაზებული, თვალ მილულვილი. ვნებით დამთვრალი,-სატრფოს ხვევნა-ალერსშია ჩამკვდარი; არა სცილდება მაშინაც-კი, როდესაც უმზერს შემოდგომის ბალახს და ჰფიქრობს: „შესაძლოა ეს ბალახი მომავალ შემოდგომას ჩემს სამარეზე ამოვიდესო!“

დღისით თუ ღამით, ყველგან, ყოველთვის, ეს აჩრდილი თანა სდევს ადამიანს; ის მისი ერთგულია,- ვით მარტოობა, ის მისი ერთგულია,- ვით განუზომელი წყურვილი ბედნიერებისა.

ეს აჩრდილი — სიკვდილია.

მოგონება.

მომაკვდავს თვალთ დაუბნელდა, სიკვდილის მოახლოვება იგრძნო და განვლილს, თვის გარსულს გადახედა, რომ ერთხელ კიდევ დაენახა თვისი ცხოვრება.

მის თვალთ წინაშე ათას გვარი სახეები წყნარად და დაუსრულებლივ მიმოდიოდნენ და ყოველ მათგანს ან მწუხარების ან სიტკბოების დაღი ღრმად დასობოდა.

ოჰ, აქ დაწუხრებულის სახე მეტი იყო, ვიდრე დამტკბარის. არა, არ ნანობს მომაკვდავი, რომ მოკვდება და ამ სახეებს ველარა ნახავს.

მაგრამ აგერ, შექუჩებულ ბრბოს შუა იბჭყვრიალეს თვალებმა, ცრემლით სავსე თვალებმა. მომაკვდავმა იცნო ეს წყვილი თვალი და ღრმად ჩააშტერდა, ჩამოიშორა რა ყველა სხვა მოჩვენებანი.

ეს თვალები მოხუცი მათხოვარისა იყო, იმ მათხოვარისა, რომელსაც, ყინვიან და მძაფრ-ცივს ღამეში, მან თავისი წამოსასხამი მისცა... მხრებიდან მოიხადა და მას მისცა.

არარა ჰქონდა მომაკვდავს მოსგონებლად სასინანულო. სულის ამოსვლის ჟამს მხოლოდ იმას ნანობდა, რომ კვდება და თვალებს, იმ მათხოვარის ცრემლიანს თვალებს ველარა ნახავს.

ლაინი.



დიანა — ვიტტორია კორკოსის ნახატი.

ივერიელი ქალი — მოკოვსკის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისი.

ჭექა-ქუხილი, მეხის გრიალი
და ქარიშხალთა მწარე ღრიალი
აკრთობს, აძრწუნებს სამშობლო მხარეს,
სხივი ჩაუქრეს სულსა მწუხარეს!
ცა ჩრდილოეთით ჩაშავებულა,
ბუნება მკრთალი აცრემლებულა.
მებრძოლთ მკერდს სჯიჯგნის ყვავ-ყორანთ გუნდი,
კვლავ იჭედება მჩაგვრელი ხუნდი!
როდის გამოკრთეს სხივი ნათელი!
როდის განათლდეს წყვდიადი ბნელი?
რატომ არ ამკობს ვარდი გაზაფხულს,
ცრემლით რად შევხვდით ჩვენს დღესასწაულს?
ნუ თუ არ შესწყდეს ავსულთ ხარხარი,
აღარც მიყუჩდეს გლოვა საზარი?!

—

ვაჰ, რომ მაისი ჩვენთვის არ ჰყვავის,
და კვლავ ყორანი თავსა დაგვჩხავის!..

ს. შ-ლი



— ჩემო ცაცუნავ, რატომ არ ჩა ცვამ? ტიტლიკანა ხომ გაცივდები!

— აბა, რა ჩავიცვა, რომ არა გამაჩნია-რა. არ შეგრცხვება აგრე „ტიტლიკანა“ რომ ვიარო... ეხლა ხომ „ფომინობა“—იაფობაა და რად გშურს სამიოდ ხელი ტანსაცმელი შენი „ტიტლიკანა“ ცაცუნისათვის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყაზიმირ ტეტმაიერ
ბოლანეთის ცნობილი მწერალი

პატარა მეთევზე — დემონ-ბრეტონის ნახატი.

თამარ მეფე
(პირველ მაისის სახელწოდების გამო)



წერილი რედაქციის მიმართ,

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: „ეშმაკის მათრახის“ № 22 ში, სხვათა შორის, მოთავსებულია „ნატავ რა ნიგოიელ თავადისა“, რომელიც სავსებით ჩემდამი მომართულია. არ შეუდგებით იმ უსინდისო და უწმაწური გინების დარღვევას, რომელსაც კადრულობს „შხანკოლა, ავტორი „ნატვრისა“. მე მხოლოდ ერთათ ერთი გზა დამრჩენია სამედიატორო სამართალი; დეე მედიატორებმა გამიმეღავნონ რამდენათ საბუთიანია „შხანკოლას“ ლანძღვა-გინება; აიხადეთ პირ ბადე და გამომყევით სამედიატორო სამართალში, ხოლო თუ თქვენ არ გნებავთ თქვენი ვინაობის-გამოჩენა თანხმა ვარ თქვენმა მედიატორებმა თქვენდა დაუსწრებლათ იქონიონ მსჯელობა დაწვრილებით ბამოარკვიონ სიმართლე.; და თუ ამასაც არ იკისრებთ იძულებული ვიქნებით ცილის-მწამებლის და არამზადას სახელი გიწოდეთ, როგორც თქვენ, ისეე იმ რედაქციას რომელიც კადრულობს ასე უდიერათ და თავხედურათ სხვის პიროვნობის შებღალვას. პასუხს ველი ერთი კვირის განმავლობაში.

ალ. გ. მაჯუტაძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სასაფლაო დიდუბეში.
(პოეტის ნეშთი ტფილისში გადმოტანის 15 წლის გამო— 1893 წ. 25 აპრილს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიოვანნი ბოკკაჩიოდგან

ზარმაცის გარდაქმნა.

—

მას შემდეგ, რაც წმინდა მიწა გოტფრიდ ბოლონელმა დაიპყრო, კიპროსის პირველ მეფის დროს, ერთი გასკონელი დედაკაცი წავიდა უფლისა საფლავის თაყვანის საცემლად. დაბრუნებისას კუნძულ კიპროსზე ფეხი შესდგა თუ არა, რომ ვიღაცა მაწანწალებმა შეურაცხყოფა მიაყენეს. გამწარებულმა ყველას მიმართა საჩივარით, მაგრამ არავინ არ მოუსმინა და შეურაცხყოფილი არ დააკმაყოფილეს; ბოლოს ქალმა გადასწყვიტა პირდაპირ მეფესთან ეჩივლა, თუმცა მეფესთან ჩივილს არავინ არ ურჩევდა, რადგანაც თვით მეფე იმდონად ზარმაცი და გაუბედავი იყო, რომ არამც თუ სხვის დაფარვას ვერ ახერხებდა, არამედ თვითონაც იტანდა ყოველგვარ შეურაცხყოფობას; ისე რომ თუ ვინმეს გული ბოღმითა ჰქონდა სავსე, მასთან მიდიოდნენ, რომ იქ გადმოენთხიათ თავიანთი ნაღველი და მეფეზე ამოეყარათ ჯავრი.

დედაკაცი მაინც არ დამშვიდდა და რადგანაც მას არ აკმაყოფილებდნენ, გადასწყვიტა მისულიყო მეფესთან და ესაყვედურნა მისთვის მისი არაარაობა და უმნიშვნელობა. ქალი მეფის წინაშე წარსდგა და თვალცრემლიანმა მოახსენა:

— მეუფეო, მე შეურაცმხყვეს, მაგრამ იმიტომ კი არ მოვსულვარ შენთან, რომ დამაკმაყოფილო, არა! მე მოვედი გკითხო — მასწავლე როგორ უნდა ავიტანო დამცირება და შეურაცხყოფა, რაიც, როგორც გავიგე, არც შენა გცდება არც ერთს დღესა. იქნება მაშინ შევძლო ავიტანო ის დამცირება, რომელიც მე მომაყენეს, და რომელსაც, ღმერთმა ხომ იცის, სიამოვნებით დაგითმობდი, რომ შეიძლებოდესო; შენთვის ხომ ეს არაფერი იქნებოდა; რადგანაც შეჩვეული ხარ ყოველგვარ შეურაცყოფის ატანასო...

მეფე მუდამ ზარმაცი და გაუბედავი, ამ სიტყვებზე უცებ თითქოს გამოფხიზლდა, ჯერ უპირველისად, ამ შეურაცხყოფისათვის დასაჯა თვით მამჩი ვარი ქალი და იმ დღიდან ყველასა სჯიდა, ვინც კი მის გვირგვინის პატივს შეეხებოდა.

ა—ს—ი.

ნადსონიდან.

—

ჩვენს დავრდომილს და ვაების დღეში,
როს გულსა მსჭვალავს სიცივე, ბნელი,
ხალხს არ უნდიხარ, ურწმუნო ნიჭოვ,
მის შავი ბედის მახარობელი, —
დეე გამხელდეს სიტყვას სიმართლე;
ნუ გწამს ჩვენი ხსნა, — სჯობს, თუ სდუმდები...
ისედაც ბნელით მოგვიცო ღამემ,
ისეც მოგვაკლო დღემ თვის სხივები...
დეე სხვა, თუნდაც ცრუ მოციქული,
მორწმუნე მგოსნად ქვეყნად მოვიდეს,
დეე მის კაზმულ, ლამაზ სიცრუვით
ერთს წამსაც არის გული გაცოცხლდეს...

იდ. ჰონტელი.

კეკელა

(ბალმონტიდან.)

—

სახლს მოყოლილი ნაზი პეპელა
სუსტი ფრთებითა შუშებს ეხლება;
და აღარ ძალუძს განთავისუფლდეს,
თუმც შორს ლაჟვარდი ცა ელიმება!..
არც ეგუება, არც მორჩილდება,
ტურფა-ნარნარსა ფერი უკრთება;
და ტყვეს ნუგეშად არარა რჩება,
საბრალო თრთის და კედლებს ეხლება!..

ა. შ-ლი.

მიწის მუშას.

—

მუშავ, კმარა რაც იტანჯე
და რაც ჰხარე მონებრ ქედი,
დღეს მედგრად ხმა ამოიღე,
რომ გეცვალოს შავი ბედი!
ყველა ხედავს, რომ არა გაქვს
ლუკმა პური მიწის მშრომელს
და ცოლ-შვილი გეღუპება
შენებრ მაჯა — დაუცხრომელს!
ჯერ — მინგრეულ ქოხში გდიხარ,
არ გაქვს მშრომელს თბილი ბინა;
ცხოვრების ზღვა შხამს გაწოდებს,
რომ არ წადგა ფეხი წინა!
შვება-ლხენა შენ არ იცი,
ბედითა ხარ სევდიანი
და შენს ქოხს არ შესწრებია
წუთს სიმღერა ტკბილ ხმიანი!
მაშ იკმარე, მიწის მუშავ,
რაც რომ ჰხარე მონებრ ქედი;
აწ კი მედგრად შეეცადე,
რომ გეცვალოს შავი ბედი!

ალ. ჩახუნაშვილი.

სურვილი.

—

რისთვის არა ვარ ჩიტი:
მაღლა-მაღლა ვიფრინო!
მუდამ ტკბილი გალობით
ჩემი მხარე ვალხინო!...
რისთვის არა ვარ ვარდი,
მისი არ მაქვს თვისება:
გულს მოუკლა მე დარდი,
დავამშვენო ღირსება!...
რისთვის არ მაქვს სინათლე,
რისთვის მზეთ არ ვიქცევი:
სამშობლოს გავანათებ;
მის ცქერას შევექცევი!
რისთვის!.... კმარა სურვილი:
ნატვრა-ნატვრათ დარჩება!
სიკეთის-კი წყურვილი
სამარეში ჩამყვება!....

კონ. ნიკოლაძე.

საქართველოს სრული ისტორია.

—

იყო პირველიდან ფეოდალიზმი, და თავად-აზნაურობა იყო კლასი, რომელიც იყო გაბატონებული, და გლეხობა — ჩაგრული. და აი, იყო, საშინელი ბრძოლა მათ შორის, ბრძოლა კლასიური, კლასთა ანტაგონიზმი. გამოდის რომ ძველად საქართველოში თავად-აზნაურობა ებრძოდა გლეხობას, გლეხობა თავად-აზნაურობას, — ფეოდალიზმი ხალხს, ხალხი ფეოდალიზმს.

და აი, შემოვიდა რუსის მთავრობა საქართველოში, მაღალი კულტურა დაბალში. ხალხი მიუდგა მთავრობას, რომელიც ფეოდალიზმს შეებრძოლა, თავად-აზნაურობა შეებრძოლა რუსის მთავრობას, რადგანაც თავად-აზნაურობა ფეოდალიზმის მომხრე იყო. ისტორიული რკინის კანონის ძალით ბიუროკრატიის სტადია უნდა განვლოს ყოველმა ხალხმა, და აუცილებლად რუსის ბიუროკრატიას ჩვენში წესიერება უნდა დაედგინა, რადგანაც რუსეთმა უკვე შედგა ფეხი ბიუროკრატიული განვითარების სტადიაში, ჩვენში კი არ იყო განვითარებული მოქალაქობრივი ცხოვრება. და აი, მოქალაქობრივობამ სძლია ფეოდალურ უწესოებას ბიუკრატიის იარაღით და დამკვიდრდა მოქალაქობრივობა და კულტურა საქართველოში.

ეროვნება მხოლოდ კაპიტალიზმის სტადიაში ვითარდება. გამოდის რომ ჩვენში ეროვნება არა ყოფილა, სანამ ფეოდალიზმი იყო. ახლა კი განვითარდა ჩვენში ეროვნება, რადგანაც, „ნატურალურმა ხაზიაისტვო“-მ მოსჭამა წუთი-სოფელი და მისი ადგილი დაიჭირა კაპიტალიზმმა, მაგრამ კაპიტალიზმის ნიშანდობლივი ხასიათია ბრძოლა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის, ამ ბრძოლის გადაფუჩეჩება შეუძლებელია, იგი ხდება ისტორიის ჩარხად და ეროვნება და ნაციონალიზმი მხოლოდ შავ-რაზმელთა და შოვინისტთა საგიტაციო ლაყბობად იქცევა. და აი, საქართველოშიაც, როდესაც განვითარდა აღებ-მიცემობა, შემოვარდა ფული, მიანგრ-მოანგრია აქაურობა, განვითარდა ქალაქი, განვითარდა ბურჟუაზია პირველ-ყოფილი კაპიტალის შეგროვებით, ქალაქი შეესია სოფელს, სოფელი გაქალაქდა. იქაც შევარდა ფული და მოახდინა დიფფერენციაცია, მიანგრ-მოანგრია ძველი და შექმნა ახალი ცხოვრება. შეიქნა საშინელი მტვრევა და რღვევა ძველ დამყაყებულ ფეოდალურ ცხოვრებისა. განიყო სოფელი ორ დიდ კლასად. კლასი მდიდარ მემამულეთა და კლასი გაპროლეტარებულ გლეხთა. სოფელი გაკაპიტალისტდა. და აი, როდესაც გაპროლეტარებული გლეხი სოფელში ვეღარ ასაღებდა თავის სამუშაო ძალას, — სოფელი მოაწყდა ქალაქს, სოფელი გაითქვიფა ქალაქში, სოფლის პროლეტარიატი ქალაქის პროლეტარიატს მიემატა, დასწია ხელ-ფასი, და ასტყდა საშინელი ბრძოლა, — ბრძოლა ლუკმა პურისათვის! გამოდის რომ საქართველოს ხალხიც ჩაება საერთაშორისო ფერხულში.

და აი, გამოჩნდა ერთად-ერთი პარტია სოციალ-დემოკრატიისა, რომელმაც განამტკიცა სოლიდარობა პროლეტარიატისა და დაუპირდაპირა იგი, როგორც შეგნებული კლასსი, ბურჟუაზიას. ნაციონალისტებმა ჩააფუჩეჩეს ჯერ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, მაგრამ როცა ჩაფუჩეჩება ალარ შეიძლებოდა, საშინელი განგაში ასტეხეს, — არიქა სამშობლო იღუპებაო, სოციალ-დემოკრატია ხალხის — მტერია, რადგან ახლად აღორძინებულ ეროვნულ ბურჟუაზიას ებრძვისო! გამოდის რომ მართო ჩვენი ბურჟუაზია ყოფილა კარგი, — სხვისი კი გლახა; მართალია ეს? სრულადაც არა! ბურჟუაზია ბურჟუაზიაა, ყველგან და ყოველთვის, პროლეტარიატი პროლეტარიატია, მათ შორის ხიდია ჩატეხილი, მათი შერიგება შეუძლებელია, მეორე ებრძვის პირველს და როცა დაამარცხებს ცხოვრების რკინის კანონის ძალით, — მაშინ კაცობრიობა გადავა აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში.

და აი, როცა რუსეთში კლასსთა წინააღმდე-

გობა განვითარდა ისე, რომ პროლეტარიატს შეეძლო ბურჟუაზიული რევოლიუციის გაკეთება, დაიწყო ბურჟუაზიული რევოლიუცია, ცხოვრება ადუღდა, აბობოქრდა, საზოგადოების კალაპოტიდან იგი ამოვარდა, ღრიჭინით იქით-აქეთ მიეხეთქა; აღარ შეიძლებოდა ძველის პაჩინკა, არამედ საჭირო იყო ძველის დანგრევა და ახალი ცხოვრების შექმნა. გამოდის, რომ ჩვენშიაც ასე უნდა ყოფილიყო აუცილებლად, რადგანაც საქართველო რუსეთის ნაწილია.

და აი, კავკასიაშიაც იფეთქა რევოლიუციის ალმა აირია და დაირია აქაურობა, ხალხი აღსდგა და აბობოქრდა. მისცა მხარი რუსეთის ხალხს და ძლევა-მოსილი პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით თავში დაუდგა მთელი რუსეთას რევოლიუციას და აი, აღჩნდენ ფედერალისტები, გამომხატველნი ბურჟუაზიისა და ფეოლადიზმის ინტერესებისა, რომელთაც მოინდომეს ძველის აღდგენა, მოითხოვეს ავტონომია და ამითი გადაეღობენ წინ ცხოვრების ულმობელ კანონს. გამოდის რომ ფედერალისტები ბურჟუაზიული და ფეოდალური პარტიაა, მაგრამ მას თავის დღეში არ ექნება ძალა, მხოლოდ ლანძღვა-გინებაში და უშვერობაში ისახელებს თავს, რადგანაც ქართველ ხალხს არ უნდა თავისი პოლიტიკა ზემოხსენებული განმარტების ძალით, თუმცა კი უნდა ქართული სკოლა, მეცნიერება, მწერლობა და სხვ. ქართველ ხალხს ბიუროკრატიის შემოსვლამდე მწერლობაც არა ჰქონია. შემოვიდა რუსის მთავრობა და თავისი ხარჯით გაზეთი გაუხსნა ქართველ ხალხს. მას შემდეგ მოქალაქობრივობასთან და კაპიტალიზმთან ერთად საშინლად განვითარდა მეცნიერება და ლიტერატურა. აი თუ გინდა აიღეთ ბ. შვარცის დიადი ნაწარმოების შემდეგი შესანიშნავი ადგილი:

(„Наша Жизнь“ № 4—Историч. матеріализмъ и естественн. наука

И такъ, ***исторія экономическихъ отношеній заключаетъ въ себѣ, кромѣ исторіи природы, и исторію изобрѣтеній и открытій***, являющихся факторомъ развитія человѣчества. ***экономическія отношенія имѣютъ свою исторію, которая настолько зависитъ отъ исторіи классовъ, насколько орудія производства были необходимы господствующему классу для пробощенія рабочей массы.***

Естественная наука не рафлексъ, не идеологія класоваго отношенія, какъ вообще многія части философіи. Ея основаніе гораздо солиднѣе и ***она измѣняется не съ классовыми отношеніями, но какъ часть всей техники, измѣняется вмѣстѣ съ измѣненіемъ производительныхъ отношеній.***

Словомъ, всякая наука есть съ одной стороны приспособленіе мысли къ фактамъ, а съ другой отношеніе мыслей между собой, которое всегда преслѣдуетъ практическую цѣль *).

დიდებული ნაწარმოების ასეთი ღრმა დასკვნა (სადაც ავტორს სხვა ყველა მეცნიერები ძლიერ ორიგინალურად დაუხმარებია, და ეს მის ღირსებას ამტკიცებს!) ამტკიცებს, სხვა არა იყოს რა, იმას, რომ ჩვენში მეცნიერება და ფილოსოფიაც განვითარებულან, რუსული ენაც ისე შეუთვისებიათ ჩვენს მეცნიერებს, რომ თავისუფლად და მშვენივრად სწერენ ულრმესს ნაწარმოებთაც ამ ენაზედ! ფედერალისტები კი იძახიან,—ჩამოვშორდეთ რუსებსო! —არა, ბატონებო, ეს შოვინისტობაა, ხალხს ეროვნული პოლიტიკა არ უნდა, დაარღვიეთ ეს თუ შეგიძლიათ!

და აი, გათავდა რევოლიუციის ერთი ფაზა და გადაველით რეაქციის ხანაში; მხოლოდ ახლა შეგვიძლია გავითვალისწინოთ რაც მოხდა. და აი, ჩვენც ვხედავთ რომ ვერც პროლეტარიატმა უპატრონა რევოლიუციას და ვერც ბურჟუაზიამ! გამოდის რომ....?!..

მაგრამ მოვა დრო და ისევ მიეხეთქ-მოეხეთქება ცხოვრება საზოგადოებრივი ცხოვრების კალაპოტის ნაპირებს; ულმობელი ისტორიული კანონის ძალით რეაქცია გადავა, ჩვენს ქვეყანასაც, კავკასიასაც გამოჰკრავს ტალღა რევოლიუციისა, აბობოქრდება ისევ ხალხი და ცხოვრება, ცხოვრება ხალხს გამოიყვანს მოქალაქობრივ მოედანზედ, ხალხი ცხოვრების კანონებს არ გადუხვევს, ბნელი ძალები ისევ შეძვრებიან სოროში, ფედერალისტები, ეხლა რეაქციით წაქეზებულნი, მოსპობენ განგაშს რევოლიუციის შიშით, და მაშინ ხალხი ისევ წამოაყენებს თავის ლოზუნგებს, მოითხოვს მუნიციპალიზაციას და დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეიკრიბება დამფუძნებელი კრება ცენტრში, და მაშინ ვნახოთ რომელი აჯობებს ქართველებისათვის, ფედერალიზმი, რომელიც **დაუინებაა** **), თუ სახელმწიფო უნიტარიზმი, ცენტრალიზმი ოლქებრივი თვითმმართველობით თუ სხვა რამ, რომელთაგანაც თვითოეული აუცილებელი საჭიროა პროლეტართა სოლიდარობისთვისა და რუსეთის საზოგადოების

*) კურსივი ყველგან ჩვენია.

**) კურსივი ა.—ისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანობისათვის,— ვნახოთ, ფედერალისტების ჭეშმარიტ-ქართული და შავ-რაზმული პოლიტიკა „ფედერალიზმისა“ გაიმარჯვებს თუ პურიშკევიჩის..., უკაცრავად, ს.-დ-ების პოლიტიკა სახელმწიფოს მთლიანობის ხელუხლებლობისა. გამოდის რომ .. მაგრამ ამაზედ ახალ აღმოსავლეთის ამბების გათავების შემდეგ ვილაპარაკოთ.

ეხლა კი ამით დავამთავროთ ჩვენი კოლლექტიური შრომა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ისტორიისა.

მონაწილეობას იღებდენ ამ შრომის შედგენაში.

ნოე ჟორდანია.

ა, --

ან, და სხვანი, რომელიც დიდმადლობას სწირვენ თავის რედაქტორების დახმარებისათვის.

ნამდვილი ან (წორია: ადა ოდიელი.

ჩვეულებრივად

—

ვაჟმა ქალს უძღვნა მგზნებარე გული
და ფულით სავსე ძვირფასი ქისა...
ქალმა ვაჟს ბადლად ბროლის სხეული
უმწიკვლო, ვით ქაფი ჩანჩქერისა...
ვაჟმა უყიდა კოხტა სახლი ქალს,
მოურთო, როგორც ოქროს გალია...
ქალმა.. დაასვა ტყუპად რქები ვაჟს
და.. გადუხადა ამით ვალი!...

წკიპარტი.

საბრალო დედა

ეგ დედა არის იმ ბედკრულისა,
რომელიც მტრებმა უხვოთდ აწამეს,
თავისუფალი სიტყვის, საქმისთვის
ამ წუთი სოფელს გამოასალმეს.
საბრალო დედა მირბის ციხეში,
რომ მდუღარებით შვილი იტიროს,
მის ცივ ცხედარზე, გადაეკონოს,
უკანასკნელად გული იჯეროს,
განა ის სწყინს, რომ მას მოუკლეს
თვის მოამაგე და მარჩენალი!
არა. ის კლავს, რომ ვერ მიუსწრო..
ამათ ედება დედის გულს ალი.
თვითონაც ბევრჯერ შვილისთვის უთქვამს:
იყავ მებრძოლი ქვეყნის ავისა
მიტომ აღგზარდე. რომ მტლად დაედო
შენ ბედშავ ხალხსა მემრისთვისაო ..
მაგრამ ასეთის უღვთო სიკვდილით
ის შეურაცხყოფეს და მთლად მოხსამეს;
ეს დედა არის იმ ბედკრულისა
გუშინ რომ სოფელს გამოასალმეს!..

თომა ჭ.

ვინ ხარ შენ?...

(დეკადენტური ლექსი პროზით, თავისის დეკადენტურის ქართულით).

—

მე არ ვხედავდი მას.

მე მხოლოდ ვგრძნობდი მის არსებობას მთელი ჩემი არსებით.

იგი არსებობდა განუსაზღვრელ-განუზომელ სივრცე-სიფართოეში.

ეს უკანასკნელი იყო გაჟღენთილი მით.

მე არ მესმოდა იგი.

მაგრამ იგი მოძრაობ-მოგზაურობდა ბნელ წყვდიად-უკუნეთში

და ეს უკანასკნელი იყო შთანთქმული ცრუ დუმილში.

დუმილი შეიცავდა მას და სუფევდა მასში.

იგი მოძრაობდა და მაშასადამე სარგებლობდა ფეხებით.

მაგრამ მე არ მესმოდა იგი.

იგი იპყრობდა-იზიდავდა ჩემს გონება-გრძნობათ.

ჩემი გულის-კვეთებანი, ვნებათა-ღელვანი, აზრ-ფიქრნი და მისწრაფება-ლტოლვილებანი ანგარიშ-მიუცემლად მიეშურებოდნენ მისადმი.

მის მოქმედება-გავლენის ქვეშ მთელი ჩემი არსება შავ ბნელმა, უსულ-გულო სევდა-კაეშანმა შეიპყრო-მოიცვა.

და რაც უფრო ვსცდილობდი მე შემეცნო-განმეცადნა მისი ვითარება-არსებობა, ჩემი სევდა-კაეშანიც უფრო და უფრო გაიზარდ-გაფართოვდა და ჩემი არსება თითქმის სრულიად შთანთქა მან.

ამ განუსაზღვრელ-გამოურკვეველ ვითარება-მდგომარეობის დროს ერთბაშად ჩემ თვალწინ გაიშუქ-გაიელვა თვალწარმტაც-მომხიბლავმა, ფოსფორისებურ-ელექტრონულმა ორმა სხივ-შარავანდედმა.

მათ ერთ წუთას გაისრიალ-გაინავარდეს მოჩვენება-ოცნებათა სამფლობელოს სიმშვენიერე-სიდიადეში და მათმა გაშუქ-გაელვარებამ უფრო გააშავ-გააწყვდიადეს მათ ირგვლივ არსებული ბნელ-უკუნეთი და მისი შესახედაობა სანახაობა უფრო გაავრცელ-გააღრმავეს.

ოჰ, საშინელება! მე შევამჩნიე მის თვალები ახლა კი ეჭვს გარეშე იყო, იგი სარგებლობდა ხედვა-ხილვით.

იგი ატარებდა თვალთ.

მან შემომაჩერა მე იგინი.

იგი მიჭვრეტ-მიმზერდა მე.

მე ვუმზერ-ვუჭვრეტდი მას.

ჩემ თავზე თმები ყალხზე შედგნენ. თრთოლვა-კანკალმა შებოჭ-შეჯაჭვა ჩემი ასოები. ჩემი გული აძგერ-ატოკდა და მკერდის გალიაში აკაკუნ-აბრახუნებდა. მე სული შემიგუბდა და ჩემი თვალებიდან ჩამოცვინდა მსხვილი, ფართო ცრემლები.

მაგრამ გავითვალწინე რა ჩემი უიმედო სისოწარკვეთილება, ჩემს თავს მძლავრად ძალა დავატანე და ძალუმის ბრძოლის შემდეგ ვძლიე ჩემი შიში:

მე მოვედი გონზე.

ჩემს თავში შეინძრნენ ტვინის ძაფები.

ყრუთ, ნახევარ-დაკარგული ხმით შევეკითხე მე მას:

„ვინ ხარ შენ?“.

იგი სდუნდა....

მე ვყოყმანობდი ეჭვში, სარგეგლობდა იგი სიტყვით თუ არა? მე ხელახლა შევეკითხე მას:

„რატომ აღგზნებ-ანათებ შენ საზარელ-საშინელ თვალთ?“.

იგი არ იღებდა ხმას...

„რატომ შემომაჩერებ შენ მე მათ?“.

იგი მე არ მაძლევდა პასუხს, მხოლოდ მისი თვალები თითქოს მითითებდნენ მე რაღაცაზე, რომელიც არსებობდა მათს თავისუფალ სამფლობელოში.

მე მინდოდა მიმეხედ-მომეხედნა ირგვლივ, მაგრამ მე არ ვფლობელობდი ჩემ თავს. მისმა თვალებმა სრულიად მომხიბლეს მე. მე მივჩერებოდი მარტო-ოდენ მათ.

გავიდა რამოდენიმე დრო-ჟამი.

მე ხელ-ახლა მოვიკრიბ-მოვიხვეჭე ძალ-ღონე და შევეკითხე მას:

„მითხარ მე, ვინ ხარ შენ? რა გინდა ჩემგან შენ? რატომ მიმზერ მე შენ ეგეთი თვალებით? ოჰ, ნუ მიმზერ მე! მე არ შემიძლიან გაუძლო შენი თვალთ მზინვარება-კაშკაშს!...

„ვინ ხარ შენ, სულო ბოროტ-მაცდურო? ჩემი სიცოცხლე-არსებობის მფლობელ-მბძანებელი? ჩემი სვე-ბედის მმართველ-გამგებელი და მომწესრიგებელი?....

„რისთვის მოხვედი შენ ჩემთან? გინდა წამართვ-წარმტაცო ჩემი დაქენჯილ-დადაგული სული? ოჰ, წაიღე იგი! მე აღარ ვსაჭიროებ მასში!...“

იგი მაინც სდუმდა და არ მაშორებდა მე თავის ძლევა-მოსილ თვალთ, რომელნიც თითქოს დღესასწაულებდნენ გამარჯვებას ჩემზე ჯოჯოხეთურის კილვა-დაცინვით.

მე ვგრძნობდი მთელი ჩემი არსებით მის მოგოგვა-მოახლოვებას ჩემდამი.

გამოუხატ-გამოუსახავი და აუწერელ-გამოუთქმელი ტანჯვა-წვალება მომაწვა მე გულზე.

მე უკვე ვკარგავდი გონება-გრძნობათ, როდესაც მომესმა ბნელ-უკუნეთის სიღრმიდგან მისი გულ-შემზარავი ხმა:

„მიააუუუ!.....“.

აცხა, შე წყეულო!

რიშ ბაბა.

განცხადება

ამით ვატყობინებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თბილისის მოსწავლეთა ჯგუფი ხსნის სამიკიტნოს. ყოველ დღე დაუკრავს არღანი, რისთვისაც მოწვეულნი არიან საუკეთესო მეარღნე კინტოები. არღნის შემდაგ გაიმართება შეზარხოშებული მოსწავლეთა კრივი. იმედია საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს.

მისამართი ადრესი: თბილისი, სამიკიტნოს დამაარსებელთ ჯგუფის თავმჯდომარეს.

პროვინცია

გურია (სიავე, სივაგლახე და სიდუხჭირე).

დღეს თითქმის მთელი რუსეთის სახელმწიფოში და კერძოთ საქართველოში არ მოიპოება ისეთი კუთხე, რომ რეაქციას თავისი დაღი არ დაესვას, მაგრამ ისეთი გაჭივრება, ტანჯვა-წვალება, როგორც გურულებმა განიცადეს და დღესაც განიცდიან შაჰაბაზის დროსაც არ ყოფილა. იჭერენ ხალხს ტყუილა უბრალოთ ჯერ „მასაჟს“ უკეთებენ და შემდეგ მანამდის ყავთ ციხეში, სანამ „რაიმე საკბილოს არ ააძრობენ“, თუმცა ამ ბოლო დროს ახალი გენერალ გუბერნატორის სლავოჩინსკის მოსვლამ ცოტათი ფრთები შეუკვეცა იმ ვაჟბატონთა თვითნებობას, მაგრამ ისინი მაინც თავიას არ იშლიან!..

ჩვენში ძალზე გავრცელებულია ყვავილი, კისერა და სხვა ავათმყოფობა, მსხვერპლი ბევრია.

ამდენ უბედურებასთან ერთად ნაძირალებმაც დრო მოიმარჯვეს; ხალხს სძარცვავენ, პერანგსაც არ უნარჩუნებენ. ამ გარემოებით ხელოვნურად სარგებლობენ ჩვენებური ესდეკები თავიანთ პარტიის სასარგებლოდ: ხალხში ავრცელებენ—ავკაცობის ჩამდენნი, ესფერების და ესერების პაარტიიდან არიანო და ამით უნდათ თავის დაცემულ ავტორიტეტის აღდგენა.

ერთი კითხვა ამ ვაჟბატონებს: ვინ გასცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი სტამბა ასკანაში?—რამაც გამოიწვია ხალხის შევიწროვება და დაჯარიმება. თქვენი პრაპაგანდიეტი ხომ არ ყოფილა? ვინ იყო იაშას მარჯვენა ხელი? ვინ იყო ერ—ს მესაიდუმლე და მრავალი სხვა... მაგრამ თითო ოროლა მაგალითი სივაგლახისა როდია მთელი პარტიის დამახასიათებელი, მაგრამ დრო კია, ღვთის წინაშე, რომ რაიმე ღონე იღონოთ და თქვენი პარტია განსწმინდოთ მავნე და თქვენი შემარცხვენელი პირითგან, ხოლო სხვა პარტიებს შესისინებაზე ხელი აიღოთ.

თავის ცოდო სხვის დანაშაულობით როდი გაბათილდება

კოდალი

—

ცხინვალი (ჩვენი ავკარგი). როგორც ვიცით, აქეთ მხარეს ხელახლად მიჰყვეს ხელი ღობეების წვასა და სხვა ძალმომრეობას. ბოქაულმა ხალხი დაიბარა და გამოუცხადა შემდეგი: გეყოთ ამდენი თავხედობა, მოისვენეთ თქვენცა და ჩვენც მოგვასვენეთო, დაგვისახელეთ და მოგვეცით ქვეყნის დამღუპველებიო! ხალხმა ერთხმათ უარი გამოაცხადა და უთხრა: ამაზედ მეტიც რო გვიყონ აღარავის მოგცეთ, იმიტომ რომ ვინც მოგეცით მეორე—მესამე დღესვე გაანთავისუფლეთ და თქვენგან გათამამებულები უარესს დღეს გვაყენებენო. სწორეთ მართალიაო, უთქვამს ბოქაულსაც და ამათი გათავებულა საქმე. ცხინვალის ხიდის მარჯვენა მხარე ძალზე დააზიანა ლიახვმა და კაი შეკეთება სჭირია, მაგრამ ცხინვალელებმა და კარმიდამოს პატრონებმა როდი იკისრეს შეკეთება; ეს წყალმა წაახდინა და ვინც ამ წყალითა სარგებლობენ იმათ უნდა შეაკეთონო. სწორეთ ეგ ღა აკლდა ათას ნაირად დაბეგრილ გლეხობას!.. კაი ამხანაგობა და მეზობლობაც ამას ჰქვიან, არა მკითხველო?

ენოქა

მოკლედ და სხლარტად

—

საჩხერეს სოციალ-ექიმბაში

გთხოვთ რომ კარგათ მოისმინოთ
ეს მცირედი განმარტება,
რომ ექიმი სოციალი
ჩვენ საჩხერეს ეტანება.
იგი ისე „მოღვაწეა“,
როგორც ვინმე „ისპრავნიკი“
გლეხკაცებში თავი მოაქვს,
იბერება როგორც ტიკი.
ხუთი ვერსის სიშორეზე
ბაჟად იღებს ერთ თუმანსა,
ხალხიც წყევლის, ილანძღება,
როს მიმართავს ამ უგვანსა...
ამგვარ ანგარებისათვის
ბევრჯელ ვნახეთ გალახული,
მაგრამ ცემამ არ დაუცხრო
ვერცხლის მოყვარული გული
ხშირად ისე ლაპარაკობს
ვითომც იყოს მტრედი—კრავი
და ხალხისა საკეთილოდ
გადაედვას ვითამც თავი!...

ფარმაცევტი

ს ა დ ღ ე ი ს ო დ

„ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ასეო“

საკვირველი ლოღიკისა და ზნეობის პატრონნი ბრძანდებიან გაზ. „მერცხალის“ არა თუ თანამშრომელნი მისი მკითხველნიც კი. მაგრამ ჩვენი ანდაზისა არ იყოს, „როგორიც მღვდელიო, ისეთი ერიო“, რასაც ჩასძახებენ თავის მკითხველებს, ისინიც ცარიელ ქვევრებსავით, რასაავირველია, იმას ამოსძახებენ. ,,მერცხალის'' მერვე ნომერში დასტამბულია ვიღაც ,,მკითხველის'' წერილი, რომელიც .,ნიშადურის'' ოცდმაეთვრამეტე ნომერს შეეხება. ,,ნიშაოურში'' სავსებით და ნათლად არის დახატული რა ბრალს სდებს რედაქცია იმ ბრბოს, რომელმაც არა ერთი და ორი საზიზღრობა ჩაიდინა ჩვენი მგოსნის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. მაგრამ .,მერცხალის'' ,,მკითხველი'' იეზუიტურად ბრძანებს —არაფერს ვიტყვი ამ ბრალდებაზედ, არაფერს ვიტყვი იმ ბრალდებაზედ, მხოლოდ მოვიყვან „ნიშადურის“ პირველ №-ში გამოცხადებულ რედაქციის კრედოსაო, სადაც ,,ნიშადურის'' რედაქცია თავის მკითხველებს პირდებოდა ვიწრო პარტიულ მიმართულებას სცდენოდაო, ნეტა რა შუაშია აქ მიმართულება, თუ რამე გაქვთ სათქმელი ბბ. მერცხლელნო, პირდაპირ ბრძანეთ, მიკიბ-მოკიბვა რა საჭიროა? ან და თუ გგონიათ, რომ შავრაზმელი თუ გვიწოდეთ ამით შეგვაშინებთ? მაგ ხრიკით ფონს ვეღარ გახვალთ. გინდა შავრაზმელი დაგვიძახეთ, გინდ ხულიგანი, ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაინტერესებს და არ გვაინტერესებს ორი მოსასრების ძალით. პირველი—მოწინააღმდეგის ხულიგანათ ან შავრაზმელად მონათვლა ეს თქვენი ახალი ტაქტიკაა, რომლითაც შორს ვერ წაბრძანდებით და რომელიც უფრო ხულიგანსა და შავრაზმელს შეშვენის ვიდრე პატიოსან ადამიანს. ურა-ტაქტიკა გადააგდეთ და ეხლა ეს შემოიღეთ. მეორე—ღმერთმა ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებისთანა ხულიგანი და შავრაზმული ააცდინოს არა თუ ჩვენ ქვეყანას, გიდამთიელ თათრებსაც კი. სულაც არ არის ხულიგანობა, როცა უშიშრად ჰკიცხავ-ხულიგანობას, კაცის კვლას, ძარცვა-გლეჯას, ტანჯვა-წვალებას, შანტაჟისტობაც და ხალხის მოტყუილებას!...

დაუბრუნდებით „მერცხლის„ „მკითხველის“ წერილის იმ ადგილს, სადაც ავტორი დღევანდელ ჩვენ წერილებს პირველ № - ში გამოქვეყნებულ კრედოს უპირდაპირებს. რამ გააკვირვა „მკითხველი“ არ გვესმის. გაზ. „მერცხლის'' „მკითხველის'' და ალბათ რედაქციის აზრითაც გაზეთი ან ვიწრო პარტიული უნდა იყოს და ამ შემთხვევაში ყოველ ავაზაკობას აშკარავებდეს ან და უპარტიო პროგრესიული და მაშინ ყოველ ავაზაკობას, დემაგოგობას, თაღლითობას და კაცის კვლას გვერდი აუქციოს. ხოლო თუ მარტო წინააღმდეგობა აინტერესებს „მერცხალს“-საწინააღმდეგო წერილებსა ერთსა და ორს არა ვხედავთ თვით მათ გაზეთებში. სანიმუშოდ ერთ ორ მაგალითს მოვიყვანთ, რომ ესდეკურ გაზე-



„ობისკი“ დაარტყეს!..

ზეთებს მკითხველთ ნათლათ დავანახვოთ თუ რა გვარად უმასპინძლდებიან ჩვენი სოც.-დემოკრატების ლიდერები საკუთარ მკითხველებს.

როცა ბ. ან—ს თავისი „აზრის“ დამტკიცება დასჭირდა გადაჭრით გამოაცხადა—რუსეთის შემოსვლა საქართველოში ფეოდალური წეს-წყობილების დარღვევით დახასიათდა. გაიარა ორმა თუ სამმა კვირამ და მათივე გაზეთი ,,მერცხლი“ (№ 5) მოწინავე წერილში ბ. რ. ა—ის სიტყვებით აცხადებს: ,,ჩვენი სოფელი მხოლოდ ახლა აღწევს თავს ძველ წესებს, ახლა თავისუფლდება ფეოდალური ურთიერთობისაგან და ახალს წყობილებაში გადადის“. ერთი სიტყვით—ასე ჩემო მანასეო ხან ასე და ხან ისეო. რას დაგიდევენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები თუ დღეს ილთას გადიან, ხვალ ბალთას, ოღონდ სიტყვა ხულიგანი არსებობდეს, თორემ მათი მკითხველი ყოველ ბოდვას მოინელებს.

ეს კიდევ არაფერი. აქ თავის გასამართლებლად კიდევ ითქმის რამე. მაგალითად, ის რომ პირველი ან-ის ნათქვამი იყო და მეორე რ. ა—სი. მაგრამ სანიმუშოთ აიღეთ ,,მერცხლის“ მე-2 № და თავიდამ ბოლომდის გულდასმით ჩაიკითხეთ. გარწმუნებთ ვერ ნახავთ ვერც ერთ წერილს, რომელშიაც სოც.-ფედერალისტ. ლანძღვა-თრევა და სოც. დემოკრატების ქებათა-ქება არ იყოს თავიდნნ ბოლომდის გატარებული, მაგრამ ყველა ამ ქება-დიდებას უმოწყალოდ აბათილებს თვით ,,მერცხალი“, „ბუმბერაზ“ ან—ის სიტყვებით. ბ-ნი ანი ბრძანებს მოწინავე წერილში: ,,მაშასადამე პარტიის ისე, როგორც პიროვნების დაფასება ყოვლად შეუძლებელია იმით, რასაც ის თითონ ამბობს თავის თავზედ“.

მაშ რაღას იწუხებდით თავსა ბ. ანო? რაღათ ჩმახავდით ამ წერილებს და რას აბეზრებდით თქვენ მკითხვლებს ამდენი აბდა-უბდით? თუ თვით პარტიას არ დაიჯერება. მაშინ ჩვენ დაგვეკითხეთ ვინცა ბრძანდებით.

თუ ლიდერს არ ესმის რასა ბრძანებს, რა უნდა მოვკითხოთ იმ წვრილფეხა რ. ა—ებს და სხვებს, რომლებმაც გინებისა და ხულიგანის დაძახების მეტი არაფერი იციან. აი, ასეთი ავან-ჩავანის პატრონნი გამოდიან საზოგადო ასპარეზზედ და მწვანე კიტრსავით იქებენ თავსა. კაცუნებო, ჯერ თქვენ შეთანხმდით, გამოარკვიეთ-ფეოდალური წესი დღეს ირღვევა თუ რუსეთის შემოსვლისთანავე დაიწყო რღვევა და მერე მიჰყეთ ხელი სხვის დარიგებას და სწავლას.

თქვენი მეგობარი.

საუბარი

(გაგონილი გოლოვინის პროსპექტზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახალი ამბავი გაიგე?

— რა ამბავი, არ ვიცი?!

— ცნობილი Speranza სოც.-დემოკრატების ბანაკში გადასულა!

— მეც არა ვთქვი, კარგს ამბავს მეტყვის მეთქი! მერე რა რომ გადასულა? ფერი ფერსა მადლი ღმერთსაო, მაგაზე რა გაწუხებს!

— არა, მიკვირს, კაცო, Speranza და სოც.-დემოკრატი, სასაცილოა სწორედ! არა მგონია, გელეიშვილ კამპანიამ თავზე დაფნის გვირგვინი დაადგას ამგვარ „აფხანიკის“ შეძენისათვის. არ ეტყვიან ამ „ვახლაკ“ ადამიანს: იმას შემდეგ რაც ჩვენ პროპაგანდისტებსა და რაზმელებზე დაიწერა, როგორ მოგყავს ჩვენს ბანაკში მაგისთანა ზნეობის პატრონი, როგორც ეგ შენი მეგობარიო! არ ეტყვიან, კაცო, ამასა?

— დამიჯერე, რომ არ ეცყვიან, რადგან ამ შემთხვევაში ისინი ჩვეულებრივი „პრაკტიკულ მოსაზრებით“ იხელმძღვანელებენ.

— აქ რა „პრაკტიკული მოსაზრება“ უნდა იყოს?

— აი რა: ჩვენ ესდეკებს ახლა მაინც ძალიან ესაჭიროებათ „ნაბამი ძაღლები“ და, ხომ იცი, Speranza მთელ თბილისში ნაქებია...

— ჰო, მივხვდი, მივხვდი... მაგრამ ჰა, ჰა, ჰა! იმას ხომ პატრონი ჰყავს?! ჰა, ჰა, ჰა!

— ხაჩატუროვი? რა ვუყოთ მერე, Speranza-მ ისეთი ყეფა იცის, რომ ორ ფარეხს თავისუფლად შეუძლიან უდარაჯოს.

— ჰა, ჰა, ჰა! ვფიცავ იესო იოსების ძე გალილელს, შენ მართალი ხარ, მაგრამ ხუმრობას თავი დავანებოთ, ეს მითხარი..

— მე არა ვხუმრობ! თუ გინდა მცირე „პრაკტიკული მოსაზრებასაც“ გეტყვი. შენ ომში არა ყოფილხარ და არ იცი, რა მნიშვნელობა აქვს „Перебѣжчикъ“-ს ამ გვარ მოღალატეებს მოპირდაპირე ბანაკში თუმცა ზიზღით უყურებენ და არ ენდობიან, მაინც მეტად აფასებენ, რადგან მან კარგად იცის მტრის ძალა, გზები, სუსტი მხარეები და ამგვარად ჯაშუშობისთვის საუკეთესო ელემენტებია.

— ეგ ყველა მესმის, მაგრამ .. იმ ხალხმა.. საზოგადოებამ, რომელიც... რომელსაც...

— შენ გინდა სთქვა, რომ „Перебѣжчикъ“-ებს ასამართლებენ და სარჩობელაზე აჰყავთ? ნუ გიკვირს, ჩემო მეგობარო, ჩვენი საზოგადოების უბედურობის დასაწყისსაც და ბოლოსაც სწორედ ის გარემოება შეადგენს, რომ თავის მეგობარს, თავის ერთგულ მოსამსახრეს პირს ფურთხით აუვსებენ, წამხდარ გაფუჭებულს, მოღალატე შვილს კი ყელზე ხელსა ჰხვევენ და პირს უკოცნიან!..

— მაშ მაგიტომაა Speranza აგრე თავგასული?

— სწორედ მაგიტომ, ჩემო კარგო, სწორედ მაგიტომ!..

ესმევარ.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ძმობისა“ მოსკოვის ქუჩა № 5.